

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მამათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, ოთარ პატიეშვილის მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ადგილი: ქ.ლანჩხუთი, მამათის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 24.07.2019 წელი 13:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე, მამათის ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივი მოსახლეობა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ავალდებულებს საკრებულოს წევრს, რომ წელიწადში ერთხელ თავის ამომრჩევლებს წარუდგინოს ერთი წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რათა მოსახლეობა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სამუშაო განხორციელდა ადმინისტრაციულ ერთეულში.

საკრებულოს წევრი ოთარ პატიეშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მაღლობა გადაუხადა მათ მობრძანებისა და აქტიურად ჩართულობისათვის.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ოთარ პატიეშვილმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ანხორციელებდა საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში. კერძოდ: 1.სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია. 2). ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივ რესურსთა საკითხთა კომისია. ასევე, არის ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის მოადგილე. სულ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს სხდომებში 19-ჯერ, დაესწრო კომისიების სხდომებს 13-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს 6 სხდომას. როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები ქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან), რა დროსაც, მათ მიერ წამოჭრილი პრობლემები შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს. მის მიერ როგორც საკრებულოში ასევე მუნიციპალიტეტის მერიამი წარდგენილი იქნა სოფლის პრობლემები რომელთა ნაწილი გადაწყდა დადებითად და ნაწილი პროექტებისა გათვალისწინებული არის მიმდინარე წლისთვის. საანგარიშო პერიოდში შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:

მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში 2018 წელს განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

- ✓ სოფ. ზემო მამთში ფრანგულაიშვილების უბანში მოეწყო რკინა-ბეტონის გზა;
- ✓ სოფ. ზემო მამთში ივტიხი ლიპარტელიანის ეზოსთან მოეწყო რკინა-ბეტონის გზა;
- ✓ მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში აღდგა დაზიანებული გზები;
- ✓ კონკკათში, ხაშიას უბანში აღდგა საყანე ფართობებთან მისასვლელი ხიდი;
- ✓ ანზორ კილაძის ეზოსთან მოეწყო ყორე-ქვის გაბიონი;
- ✓ რევაზ ჩხარტიშვილის ეზოსთან მოეწყო ყორე-ქვის გაბიონი;
- ✓ შათირის უბანში აღდგა დაზიანებული გზა და სანიაღვრე არხები;
- ✓ კონკკათის უბანში აღდგა მისასვლელი გზა;
- ✓ თემურ ხელაძის ეზოსთან აღდგა დაზიანებული გზის სანიაღვრე არხები;
- ✓ მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო შიდა გზები;

საანგარიშო პერიოდში მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში 2018 წელს განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით. კერძოდ:

- ✓ 2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 1 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 10 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის მარტის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 2 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;

საკრებულოს წევრმა ოთარ პატიეშვილმა აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შესაბამისად მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მედიკამენტების შეძენის პროგრამით ისარგებლა 24 ბენეფიციარმა, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით 1 ბენეფიციარმა.

საკრებულოს წევრმა ოთარ პატიეშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებულია გაზიფიცირების პროექტირების სამუშაოები, ხოლო სრულად გაზიფიცირდება 2020 წლის ოქტომბრამდე. მან ასევე აღნიშნა, რომ 2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასაფლაოს შემოღობვითი სამუშაოები, მოეწყო სანიაღვრე არხები და ცხაურები, რკინა-ბეტონის გზა დაიგო კონკკათში და მოიხრემა შიდა გზები. მან თხოვნით მიმართა ამომრჩევლებს, რომ მომავალი წლისთვის ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ჩაერთოს სოფლის პროექტების პრიორიტეტების სწორად ჩამოყალიბებაში. ასევე, ამომრჩევლებს თხოვა იმ პრობლემატური საკითხების დასახელება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს.


სოფ. მამათში მცხოვრებმა გელა ურუშაძემ აღნიშნა, რომ საყანე ფართობები, რომელიც შეადგენს 90 ჰა საჭიროებს შეღობვით სამუშაოებს. ასევე, სოფლისთვის დიდ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მდ. სუფსაზე გადასასვლელი ხიდის არარსებობა, რომლის გარეშეც ვერ ხერხდება საყანე ფართობებიდან მოსავლის შინ დაბინავება, რაზეც საკრებულოს წევრმა ოთარ პატიეშვილმა განმარტა, რომ წინა წელს მდ. სუფსაზე ხიდის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გამოცხადდა ტენდერი, რომლის ღირებულებაც იყო 70 000

ლარი, მაგრამ არცერთმა კომპანიამ არ მიიღო მონაწილეობა, რის გამოც ტენდერი ჩაიშალა, გამომდინარე აქედან იგეგმება მიმდინარე წელს ტენდერის განმეორებითი გამოცხადება.

მოგელი ღვინიანიძემ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდება საყანე ფართობების შეღობვითი სამუშაოების ჩატარება, იქნებ მოხდეს საყანე ფართობებთან არხების გაწმენდა.

დასასრულს, საკრებულოს წევრმა ოთარ პატიეშვილმა მამათის მოსახლეობას დაპირდა, რომ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე ამომრჩევლებთან და შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვეტს ყველა იმ პრობლემას, რომელიც აწუხებს მამათის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ოთარ პატიეშვილი



თავმჯდომარის მოადგილე
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“